განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

კომპიუტერული მეცნიერებების სადოქტორო პროგრამა

საჯარო სამართლის იურიდიული პირი - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი

შეფასების თარიღი
2.02.2018

დასკვნის წარდგენის თარიღი

26.23.2018

თბილისი
2018

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საჯარო სამართლის იურიდიული პირი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	205224700
დაწესებულების სახე	უნივერსიტეტი

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	კომპიუტერული მეცნიერებები
განათლების საფეხური	უმაღლესი განათლების მესამე საფეხური - დოქტორანტურა
მისანიჭებელი კვალიფიკაცია კვალიფიკაციის კოდის მითითებით	ინფორმატიკის დოქტორი, 0401
სწავლების ენა	ქართული
კრედიტების რაოდენობა	180
პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/ახალი)	ახალი

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	თინათინ დავითაშვილი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	მაგდა ცინცაძე, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	გვანცა წულაია, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**

პროგრამა „კომპიუტერული მეცნიერება“ არის ახალი პროგრამა. მანამდე სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტში ფუნქციონირებდა სადოქტორო პროგრამა „მათემატიკური მოდელირება და კომპიუტერული მეცნიერებანი“, რომელიც ვადის ამოწურვის შემდეგ პროგრამის ხელმძღვანელების გადაწყვეტილებით სადოქტორო პროგრამა ორ ნაწილად გაიყო. სწორედ ამ პროგრამის განაყოფს წარმოადგენს სააკრედიტაციოდ წარმოდგენილი პროგრამა „კომპიუტერული მეცნიერება“. აღსანიშნავია, რომ წინამორბედმა პროგრამამ დადებითი როლი შეასრულა, უპირველეს ყოვლისა, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტისთვის კვალიფიციური კადრების მომზადების საქმეში და მის განხორციელებაში ჩართულნი იყვნენ დარგის წამყვანი სპეციალისტები (ნაშრომის ხელმძღვანელის, რეცენზენტის, ექსპერტის როლში) საქართველოს სხვადასხვა უნივერსიტეტებიდან თუ სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტიდან.

განსახილველი პროგრამა „კომპიუტერული მეცნიერება“ 180 კრედიტიანია და შედგენილია სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტში მოქმედი, აკადემიური საბჭოს მიერ დამტკიცებული „სადოქტორო პროგრამების შემუშავებისა და დამტკიცების ინსტრუქციის“ (დადგენილება № 05/01-362, 12. 10. 2017) მიხედვით. პროგრამა შედგება სასწავლო (60 კრედიტი) და კვლევითი კომპონენტებისაგან (120 კრედიტი). საკმაოდ ფართოა იმ სავარაუდო თემატიკის ჩამონათვალი, რომელშიც დოქტორანტს შეუძლია განახორციელოს კვლევები და შეარჩიოს სადოქტორო დისერტაციის თემა.

პროგრამის განხორციელებაში მონაწილეობს 8 პერსონალი. აქედან 7 (მათ შორის პროგრამის ხელმძღვანელები) სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალია, 1 (ი.ქარდავა) - სრული დატვირთვით კონტრაქტითაა დასაქმებული ამავე უნივერსიტეტში. გარდა ამისა, ერთ-ერთი კურსი მიყავს საათობრივი წესით მიწვეულ პროფესორ დ.გულუას, რომელიც წლების განმავლობაში უცხოეთში მოღვაწეობდა სპეციალობით და დარგში დიდი გამოცდილება აქვს.

სადოქტორო პროგრამას ხელმძღვანელობენ მეცნიერები, რომლებსაც გააჩნიათ სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის დიდი გამოცდილება და ავტორიტეტი. აღსანიშნავია, რომ პროგრამის ერთ-ერთი ხელმძღვანელი ჯ.ანთიძე დარგში საერთაშორისო აღიარების მქონე მეცნიერია. ბოლო პერიოდამდე აქტიურ სამეცნიერო მოღვაწეობას ეწევა: არის 100-ზე მეტი სამეცნიერო პუბლიკაციის ავტორია, მრავალი საერთაშორისო კონფერენციის მონაწილე და ორგანიზატორი, საგრანტო პროექტების ხელმძღვანელი და/ან მონაწილე, სამეცნიერო ჟურნალების მთავარი რედაქტორი / სარედაქციო კოლეგიის წევრი. მისი ხელმძღვანელობით დაცულია რამდენიმე დისერტაცია, მათ შორის - საზღვარგარეთ მუშაობის პერიოდში. ბევრი მისი მოსწავლე ამჟამად უცხოეთის კვლევით დაწესებულებებში მუშაობს. ჯ.ანთიძე ფლობს რამდენიმე უცხო ენას.

- **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**

აკრედიტაციის მაძიებელ დაწესებულებაში ვიზიტი განხორციელდა 2018 წლის 2 თებერვალს. ექსპერტთა ჯგუფის საქმიანობაზე დაკვირვებას აწარმოებდა უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სამმართველოს სპეციალისტი თამარ აფრასიძე.

გასაუბრებების სესიები და სხვა აქტივობები მიმდინარეობდა წინასწარ შეთანხმებული დღის წესრიგის მიხედვით, 10:00 სთ-დან 19:00 სთ-მდე და მოიცავდა შეხვედრებს სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის, მათემატიკისა და კომპიუტერულ მეცნიერებათა ფაკულტეტის

ადმინისტრაციასთან, პროგრამის თვითშეფასების ჯგუფთან, პროგრამის ხელმძღვანელებთან, პროგრამის განხორციელებაში ჩართულ აკადემიურ პერსონალთან, დამსაქმებელთან. მოეწყო გასაუბრება წინამორბედი პროგრამის „მათემატიკური მოდელირება და კომპიუტერული მეცნიერებანი“ კურსდამთავრებულებთან. ჯგუფის წევრებმა დაათვალიერეს პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო მატერიალურ-ტექნიკური ბაზა.
დაწესებულების წარმომადგენლები მომზადებულები შეხვდნენ ვიზიტს, ექსპერტთა ჯგუფის წევრებს სამუშაო პირობები შეუქმნეს და ყველა საჭირო ინფორმაცია/დოკუმენტი მიაწოდეს.
ვიზიტის დასასრულს ექსპერტთა ჯგუფმა უნივერსიტეტის ადმინისტრაციას გააცნო აკრედიტაციის სტანდარტებთან დაკავშირებული ძირითადი მიგნებები, პროგრამიდან გამომდინარე.

- **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

სადოქტორო პროგრამა შესაბამისობაშია ხუთივე სტანდარტის მოთხოვნებთან.

- **რეკომენდაციები**

  - რეკომენდაცია 1.1 ქვესტანდარტთან მიმართებაში: პროგრამის მიზნების აღწერაში მოცემულია ზედმეტი ინფორმაცია. ექსპერტების აზრით, ამ ნაწილიდან ამოღებულ უნდა იქნას ტექსტი, რომელიც ეხება პროგრამის სასწავლო კომპონენტით დასახული მიზნების განხორციელებას (როგორიცაა „... შეასწავლოს დოქტორანტს ...“). ამასთანავე, პროგრამის მიზნების აღწერაში მიზანშეწონილი არაა ყურადღება გამახვილდეს დაპროგრამების საკითხებზე. მით უმეტეს, რომ პროგრამა მიზნად ისახავს უფრო ფართო სპექტრის სპეციალისტების მომზადებას.

  - რეკომენდაცია 4.4 ქვესტანდარტთან მიმართებაში: პროგრამისიმართებაში: ბის ენა ქართულია. წინაპირობებში გათვალისწინებულია შიდა საუნივერსიტეტო გამოცდა ერთ-ერთ უცხოურ ენაში (ინგლისური, გერმანული, ფრანგული, ან რუსული). თუმცა, წარმოდგენილი 11 სილაბუსიდან სამში კურსის ძირითადი ლიტერატურა იყო მხოლოდ ინგლისურ ენაზე. აქედან ორში დამატებითი ლიტერატურა კი არის ქართულ ენაზეც, თუმცა სრულად არ ფარავს კურსის თემატიკას. ექსპერტთაიმართებაში: ბის ენა ქართულია. წინაპირობებში გათვალისწინებულია შიდა საუნივერსიტეტო გამოცდა ერთ-ერთ უცხოურ ენაში (ინგლისური, გერმანული, ფრანგული, ან რუსული). თუმცა, წარერატურის ჩამონათვალში უნდა დაემატოს ქართულენოვანითებაში: ბის ენა ქართულია. წინაპირობებში გათვალ).

  - რეკომენდაცია 5.1 ქვესტანდარტთან მიმართებაში: ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ უფრო ნათლად უნდა იყოს გაწერილი ხარისხის უზრუნველყოფის ციკლის ბოლო ეტაპის („განავითარე“) განხორციელების ეტაპები. კერძოდ, რეკომენდაციები კი წარედგინება აკადემიურ საბჭოს და ფაკულტეტების საბჭოებს, მაგრამ კონკრეტულად უნდა იყოს გაწერილი პროცედურა, როგორ ხდება ხარისხის უზრუნველყოფის ციკლის ბოლო ეტაპის („განავითარე“) განხორციელება და ვინ არის ამაშიჩართული.

- **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

  - რჩევა 2.2 ქვესტანდარტთან მიმართებაში: სასწავლო კურსის „პროგრამული უზრუნველყოფის ვერიფიკაციის პრობლემები“ (COMP D325) სილაბუსში

მითითებულია წინაპირობა კურსის გავლისთვის „უნდა იყოს კარგი პროგრამისტი, სრულყოფილად უნდა ფლობდეს რომელიმე დაპროგრამების ენას“. თუმცა სასწავლო პროგრამის მიხედვით პროგრამის კურსებს წინაპირობა არ აქვთ. სასურველია ეს ხარვეზი გასწორდეს.

- რჩევა 3.1 ქვესტანდარტთან მიმართებაში: სასურველი იქნება, რომ ინფორმაცია წინამორბედი პროგრამის „მათემატიკური მოდელირება და კომპიუტერული მეცნიერებანი“ (ამ პროგრამის განაყოფია წარმოდგენილი პროგრამა) კურსდამთავრებულების წარმატებების შესახებ (მაგ. ორმა მათგანმა ახლახანს მოიპოვა რუსთაველის ფონდის ახალგაზრდა მეცნიერთატვის განკუთვნილი გრანტები) ცნობილი გახდეს უფრო ფართო საზოგადოებისთვის, რაც გაზრდის აღნიშნული სადოქტორო პროგრამით დაინტერესებულ პირთა რიცხვს.

- რჩევა 4.2 ქვესტანდარტთან მიმართებაში: საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშზე თანდართულ CV-ებში (კონკრეტულად, ორ მათგანში) სრულად არ იყო წარმოდგენილი სამეცნიერო ნაშრომთა სია. თუმცა დაწესებულებაში ვიზიტის ფარგლებში წარმოადგინეს ნაშრომთა გამოტოვებული სია. ინფორმაცია დადასტურებულია და ექვემდებარება შემოწმებას.

- **საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)**

- **განმეორებითი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

1.1 პროგრამის მიზნები შეესაბამება დაწესებულების მისიას, ნათლად არის ჩამოყალიბებული, ორიენტირებულია დასაქმების ბაზარზე და მიღწევადია
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი „კომპიუტერული მეცნიერებების“ სადოქტორო პროგრამის მიზნები შეესაბამება სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის მისიას. პროგრამა მიზნად ისახავს დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე მაღალკვალიფიციური სპეციალისტების, მათ შორის, უმაღლესი სკოლის პედაგოგიური კადრების მომზადებას, რომლებიც შეძლებენ სამეცნიერო კვლევას თანამედროვე ტექნოლოგიებისა და უახლესი მეთოდების გამოყენებით. პროგრამის მიზნებში ჩამოთვლილია, რა მიმართულებებით მოხდება კვალიფიკაციის ამაღლება და კვლევა. მიზნები ორიენტირებულია დასაქმების ბაზარზე და მიღწევადია. თუმცა ამ ნაწილში მოცემულია ზედმეტი ინფორმაციაც. ექსპერტების აზრით, ამ ნაწილიდან ამოღებულ უნდა იქნას ტექსტი, რომელიც ეხება პროგრამის სასწავლო კომპონენტით დასახული მიზნების განხორციელებას (როგორიცაა „... შეასწავლოს დოქტორანტს ...“). ექსპერტების აზრით პროგრამის მიზნების აღწერაში მიზანშეწონილი არაა ყურადღება გამახვილდეს დაპროგრამების საკითხებზე. მით უმეტეს, რომ პროგრამა მიზნად ისახავს უფრო ფართო სპექტრის სპეციალისტების მომზადებას.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის მისიის განაცხადი (ვებგვერდი) ○ საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიში ○ საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშზე თანდართული დოკუმენტაცია
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები ○ პროგრამის მიზნების აღწერაში მოცემულია ზედმეტი ინფორმაცია. ექსპერტების აზრით, ამ ნაწილიდან ამოღებულ უნდა იქნას ტექსტი, რომელიც ეხება პროგრამის სასწავლო კომპონენტით დასახული მიზნების განხორციელებას (როგორიცაა „... შეასწავლოს დოქტორანტს ...“). ასევე, პროგრამის მიზნების აღწერაში მიზანშეწონილი არაა ყურადღება გამახვილდეს დაპროგრამების საკითხებზე. მით უმეტეს, რომ პროგრამა მიზნად ისახავს უფრო ფართო სპექტრის სპეციალისტების მომზადებას.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☒ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.2 პროგრამის კომპონენტის (სასწავლო კურსი, მოდული და სხვა) შინაარსი, სწავლების მეთოდებისა და კრედიტების მოცულობის გათვალისწინებით, უზრუნველყოფს ამ კომპონენტით დასახული მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევას
პროგრამა შედგენილია სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მიერ დამტკიცებული „სადოქტორო პროგრამების შემუშავებისა და დამტკიცების ინსტრუქციის“ (დადგენილება № 05/01-362, 12. 10. 2017) მიხედვით. პროგრამის სასწავლო და სამეცნიერო კომპონენტების შინაარსი, სწავლების მეთოდებისა და კრედიტების მოცულობის გათვალისწინებით, უზრუნველყოფს ამ კომპონენტით დასახული მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევას (დაწვრილებით სასწავლო და სამეცნიერო კომპონენტების განმარტება იხ. სსუ დოქტორანტურის მინიმალური სტანდარტი, დანართები 3 და 4). სადოქტორო პროგრამის კომპონენტები აგებულია ლოგიკურად და ეფუძნება ეტაპობრივ პრინციპს, რათა მოხდეს პროგრამით გათვალისწინებული კომპეტენციების გამომუშავება და კვალიფიკაციის მიღება. პროგრამაში კრედიტები განაწილებულია სასწავლო და სამეცნიერო-კვლევით კომპონენტებს შორის. სადოქტორო პროგრამა მოიცავს 180 (ECTS) კრედიტს. აქედან 60 (ECTS) განკუთვნილია სასწავლო კომპონენტისათვის, დანარჩენი 120 (ECTS) კრედიტი ეთმობა სამეცნიერო-კვლევით კომპონენტს. სწავლების პირველ წელს სასწავლო კურსების მეშვეობით (სავალდებულო სასწავლო კურსები განსაზღვრულია სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტურის მინიმალური სტანდარტით) დოქტორანტს შესაძლებლობა ექნება გაეცნოს ახლებურ კვლევით და ანალიტიკურ მეთოდებს; გაიღრმავოს დარგობრივი ცოდნა; ხელმძღვანელთან/ებთან შეთანხმებით შეარჩიოს და შეადგინოს სადოქტორო თემის გეგმა და დაიწყოს ბიბლიოგრაფიის დამუშავება; ხოლო სწავლების მეორე წლიდან, ოთხი სემესტრის მანძილზე, დოქტორანტი მაქსიმალურად მიმართულია სადისერტაციო ნაშრომის შესრულებაზე. სასწავლო კომპონენტი გადანაწილებულია სწავლების პირველ და მეორე სემესტრებზე, სადაც დოქტორანტი აითვისებს, შესაბამისად, 36 სავალდებულო კრედიტს და 24 არჩევით კრედიტს (დარგობრივი არჩევითი 6 კურსი). სადოქტორო პროგრამის კვლევითი კომპონენტი კი მოიცავს 120 (ECTS) კრედიტს, რომელიც გადანაწილებულია სწავლების მესამე, მეოთხე, მეხუთე და მეექვსე სემესტრებზე. კვლევითი კომპონენტის 15 ECTS კრედიტი დაეთმობა კოლოქვიუმის

მომზადებასა და პრეზენტაციას; 105 ECTS კრედიტი კი - სადოქტორო დისერტაციაზე მუშაობას, საბოლოოდ გაფორმებასა და პრეზენტაცია/საჯარო დაცვას. სწავლებისთვის გამოიყენება მრავალფეროვანი მეთოდები.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის სადოქტორო პროგრამების შემუშავებისა და დამტკიცების ინსტრუქცია; დოქტორანტურის მინიმალური სტანდარტი ○ სადოქტორო პროგრამა ○ საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიში ○ სილაბუსები ○ აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაცია / ინტერვიუს შედეგები.
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ○
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1.3 პროგრამის კომპონენტების ერთობლიობა უზრუნველყოფს პროგრამით დასახული მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევას უმაღლესი განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოს შესაბამისი საფეხურის აღმწერის სათანადო დონით
სადოქტორო პროგრამის დასრულების შემდეგ მისანიჭებელი ხარისხი „ინფორმატიკის დოქტორი“ შეესაბამება ეროვნულ საკვალიფიკაციო ჩარჩოს (კოდი 0401, 04 - ინჟინერია).

სადოქტორო პროგრამის კომპონენტების ერთობლიობა უზრუნველყოფს პროგრამით დასახული მიზნებისა და შედეგების მიღწევას. სწავლის შედეგების დონე შეესაბამება უმაღლესი განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოს მესამე საფეხურის სწავლის შედეგებს. სადოქტორო პროგრამის დასრულების შედეგად სტუდენტი წარმოადგენს საკვალიფიკაციო ნაშრომს დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად. ამასთან ერთად, დოქტორანტურის სასწავლო პროგრამის დასრულების შედეგად სტუდენტს ჩამოუყალიბდება ინფორმატიკის მიმართულების მკვლევარისთვის საჭირო უნარ-ჩვევები და შემდეგი კომპეტენციები: ცოდნა და გაცნობიერება, ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი, დასკვნის უნარი, კომუნიკაციის უნარი, სწავლის უნარი, ღირებულებები. კომპეტენციები დაკონკრეტებულია სადოქტორო პროგრამაში და შეესაბამება უმაღლესი განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოს მესამე საფეხურს. მართალია პროგრამა ახალია, მაგრამ დაწესებულებაში ვიზიტის დროს ექსპერტთა კომისიის წევრებმა გადახედეს წინა სადოქტორო პროგრამის (რომლის განაყოფსაც წარმოადგენს განსახილველი პროგრამა) 3 დოქტორანტების მიერ დაცულ სადოქტორო ნაშრომებს, რომლებიც შეეხებოდა ინფორმაციის დაცვისა და ქართული ტექსტების კომპიუტერული დამუშავების საკითხებს. ნამუშევრები გამოირჩეოდა საკმაოდ კარგი სამეცნიერო დონით, აქტუალობით, ხოლო მათი ხელმძღვანელები იყვნენ მაღალი რეპუტაციით გამორჩეული დარგის სპეციალისტები,
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ სადოქტორო პროგრამა ○ ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩო ○ საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიში
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ○
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.4 პროგრამის სწავლის შედეგები უზრუნველყოფს კურსდამთავრებულთა კონკურენტუნარიანობას საგანმანათლებლო (განათლების შემდგომ საფეხურზე) და დასაქმების ბაზარზე
სადოქტორო პროგრამის სწავლის შედეგები უზრუნველყოფს კურსდამთავრებულთა კონკურენტუნარიანობას დასაქმების ბაზარზე. კურსდამთავრებულებს შეეძლებათ დასაქმდნენ სამეცნიერო-კვლევით და საგანმანათლებლო დაწესებულებებში, სახელისუფლებო და კერძო სტრუქტურებში, სადაც ესაჭიროებათ კომპიუტერული მეცნიერებების სპეციალისტები. დარგის სპეციფიკიდან გამომდინარე, სხვა უნივერსიტეტების მსგავსი პროგრამების კურსდამთავრებულები მოთხოვნადია ბაზარზე. უნდა აღინიშნოს, რომ ამ პროგრამის წინამორბედი სადოქტორო პროგრამის (პროგრამა გაიყო) ყველა კურსდამთავრებული დასაქმებულია სპეციალობით. ბევრი მათგანი ეწევა სამეცნიერო-პედაგოგიურ მოღვაწეობას მშობლიურ სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტში.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ სადოქტორო პროგრამა ○ საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიში ○ აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაცია - ინტერვიუს შედეგები.
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ○
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.5 პროგრამის სწავლის შედეგების განსაზღვრისა და პროგრამის განვითარების პროცესში დაინტერესებული მხარეების (დამსაქმებლები, აკადემიური პერსონალი, სტუდენტები, კურსდამთავრებულები) მონაწილეობის მექანიზმი შემუშავებულია და ხორციელდება
უნივერსიტეტში მოქმედი რეგულაციით საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების პროცესი არის საჯარო და გამჭვირვალე, ხოლო პროგრამის განვითარებაში, მის შემდგომ სრულყოფაში მონაწილეობენ დაინტერესებული მხარეები (სტუდენტები, აკადემიური პერსონალი, კურსდამთავრებულები, დამსაქმებლები). სადოქტორო პროგრამა შემუშავებულია სპეციალური ინსტრუქციის მიხედვით, რომელიც დამტკიცებულია აკადემიური საბჭოს დადგენილებით და რომელშიც განსაზღვრულია პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებული ტექნიკური და შინაარსობრივი საკითხები, განსაზღვრულია ასევე საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში მონაწილე ადამიანური რესურსი და პროგრამის მომზადების პროცესში მათი მონაწილეობის მექანიზმი. პროგრამის აკადემიურ საბჭოზე დამტკიცებას წინ უძღვის სხვადასხვა დონეზე განხილვის ეტაპები, რომელიც აღწერილია სადოქტორო პროგრამის შემუშავებისა და დამტკიცების ინსტრუქციაში. პროგრამის გაუმჯობესებისა და დახვეწის მიზნით პროგრამით დაინტერესებული პირები (აკადემიური პერსონალი, დოქტორანტები, კურსდამთავრებულები, სავარაუდო დამსაქმებლები) აქტიურად არიან ჩართულნი პროგრამის შემუშავებაში. დაინტერესებული პირების საჭიროებებისა და მოთხოვნების დადგენისათვის უნივერსიტეტში შემუშავებულია სპეციალური კითხვარები: სტუდენტთა მიერ ცალკეული სასწავლო კურსებისა და ამ კურსის წამყვან პროფესორთა შეფასების, აკადემიური პერსონალისთვის, კურსდამთავრებულთათვის და დამსაქმებლებსათვის. სწავლების გაუმჯობესების და პროგრამის განვითარების მიზნით მოხდება ამ მონაცემების დამუშავებისა და ანალიზით მიღებული შედეგების გათვალისწინება. რადგან პროგრამა ახალია, კითხვარები აღნიშნულ პროგრამაზე არ შევსებულა. პროგრამას თან ახლდა ე.წ. შიდა და გარე ექსპერტების დასკვნა (შესაბამისი საუნივერსიტეტო ფორმის მიხედვით), აგრეთვე ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის უფროსის დასკვნა (სულ - სამი). დასკვნებს გავეცანით ვიზიტის დროს. დასკვნებში პროგრამა დადებითად არის შეფასებული. გაფორმებულია თანამშრომლობის მემორანდუმი რამოდენიმე უნივერსიტეტთან, ასევე საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ნ.მუსხელიშვილის სახელობის გამოთვლითი მათემატიკის ინსტიტუტთან, რომელიც ითვალისწინებს თანამშრომლობის სამეცნიერო, სასწავლო და პრაქტიკული კომპონენტების ერთობლიობას.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ სადოქტორო პროგრამების შემუშავებისა და დამტკიცების ინსტრუქცია ○ საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიში ○ საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშზე თანდართული დოკუმენტაცია ○ აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაცია - ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ○
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	✓		

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

2.1 პროგრამაზე მიღების წინაპირობები გამჭვირვალეა და უზრუნველყოფს შესაბამისი ცოდნის, უნარებისა და ღირებულებების მქონე პირთა პროგრამაში ჩართვას, რაც ემსახურება სტუდენტის მიერ სწავლის შედეგების მიღწევას
პროგრამაზე მიღების წინაპირობები გამჭვირვალეა და უზრუნველყოფს შესაბამისი ცოდნის, უნარებისა და ღირებულებების მქონე პირთა პროგრამაში ჩართვას, რაც ემსახურება სტუდენტის მიერ სწავლის შედეგების მიღწევას. წინაპირობები დადგენილია სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტურის მინიმალური სტანდარტის მიხედვით. პროგრამაზე მიღების წინაპირობებია: ○ მაგისტრის ხარისხი, ან მასთან გათანაბრებული ერთსაფეხურიანი სწავლების დიპლომი ინფორმატიკაში ან მათემატიკაში; შესაძლებელია აგრეთვე, ინჟინერიის სხვადასხვა მიმართულებით (გადაწყვეტილებას ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში იღებს მიმღები კომისია); ○ შიდა საუნივერსიტეტო გამოცდა უცხო-ენაში (ინგლისური, გერმანული, ფრანგული, ან რუსული) - B2 დონე; ○ გასაუბრება მათემატიკისა და კომპიუტერულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დარგობრივ კომისიასთან; ○ კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა შემთხვევები (მობილობა, უცხო ქვეყნის მოქალაქეები).
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ სადოქტორო პროგრამა ○ საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიში და თანდართული დოკუმენტაცია ○ სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტურის მინიმალური სტანდარტი.
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.2 პროგრამის სხვადასხვა კომპონენტში გამოყენებული სწავლების მეთოდების ერთობლიობა უზრუნველყოფს პროგრამით გათვალისწინებული შედეგების მიღწევას
პროგრამის სხვადასხვა კომპონენტში გამოყენებული სწავლების მეთოდების ერთობლიობა უზრუნველყოფს პროგრამით გათვალისწინებული შედეგების მიღწევას. კერძოდ: ○ საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო და სამეცნიერო კომპონენტების განსახორციელებლად გამოიყენება ლექცია, სამუშაო ჯგუფში მუშაობა, პრაქტიკული მუშაობა, სემინარი, კოლოკვიუმი, დამოუკიდებელი მუშაობა, კონსულტაცია, სადისერტაციო ნაშრომზე მუშაობა და სხვ. ○ სწავლების პროცესში, კონკრეტული სასწავლო კურსის სპეციფიკიდან გამომდინარე, გამოიყენება სწავლების მრავალფეროვანი მეთოდები, რომელიც მოცემულია სასწავლო კურსის სილაბუსებში და სამეცნიერო კომპონენტთან ერთად უზრუნველყოფს პროგრამით გათვალისწინებული შედეგების მიღწევას.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ სადოქტორო პროგრამა ○ საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიში და თანდართული სილაბუსები ○ აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაცია - ინტერვიუს შედეგები.
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის ○ სასწავლო კურსის „პროგრამული უზრუნველყოფის ვერიფიკაციის პრობლემები“ (COMP D325) სილაბუსში მითითებულია წინაპირობა კურსის გავლისთვის „უნდა იყოს კარგი პროგრამისტი, სრულყოფილად უნდა ფლობდეს რომელიმე დაპროგრამების ენას“. თუმცა სასწავლო პროგრამის მიხედვით პროგრამის კურსებს წინაპირობა არ აქვთ. სასურველია ეს ხარვეზი გასწორდეს.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება ☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.3 პროგრამაში შემავალი კომპონენტების თანმიმდევრობა და შემდგომ კომპონენტზე დაშვების წინაპირობები ლოგიკურია
○ სადოქტორო პროგრამაში შემავალი კომპონენეტების თანმიმდევრულია, მიმართულია პროგრამით გათვალისწინებული კომპეტენციების გამომუშავებისაკენ. სასწავლო კომპონენტში, რომელსაც პირველი და მეორე სემესტრი ეთმობა, პროგრამის ძირითადი საგნების გავლის შემდეგ ხდება სპეციალობის არჩევითი კურსების გავლა. კურსები თანდათანობით რთულდება - ზოგადიდან უფრო კომპლექსური ხასიათის კურსებამდე. სასწავლო კურსებს წინაპირობა არ გააჩნია. სასწავლო კომპონენტს მოსდევს სამეცნიერო კომპონენტი, რომლის განხორციელებას მომდევნი ოთხი სემესტრი ეთმობა. შესასრულებელი სამუშაო აქაც თანმიმდევრულადაა გადანაწილებული.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ სადოქტორო პროგრამა ○ საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიში და თანდართული სილაბუსები ○ აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაცია - ინტერვიუს შედეგები.
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება ☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.4 სტუდენტის შეფასების მეთოდები საგანმანათლებლო პროგრამის თითოეულ კომპონენტში უზრუნველყოფს ამავე კომპონენტით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას, რაც დასტურდება შეფასების შედეგებით
○ დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის კვლევითი კომპონენტები და მათი შეფასების წესი მოცემულია დოქტორანტურის მინიმალურ სტანდარტსა და სადისერტაციო საბჭოების დებულებებში. ○ სტუდენტის შეფასების მეთოდები საგანმანათლებლო პროგრამის თითოეულ კომპონენტში უშვებს ხუთი სახის დადებით შეფასებას (A-E) და ორი სახის უარყოფით შეფასებას. სილაბუსებში აღწერილია კონკრეტული შეფასების ფორმები და მეთოდები, რაც უზრუნველყოფს კონკრეტული კურსით გათვალისწინებული შედეგის მიღწევას. განსაზღვრულია მინიმალური კომპეტენციის ზღვარი, რომელსაც ადგენს უშუალოდ ლექტორი სასწავლო კურსის სპეციფიკიდან გამომდინარე. დანარჩენი რეგულაციები მოცემულია სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში, ასევე განსაზღვრულია დოქტორანტურის მინიმალური სტანდარტით, რაც უზრუნველყოფს შესაბამისი კომპონენტით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ სადოქტორო პროგრამა ○ საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიში და თანდართული სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი ○ დოქტორანტურის მინიმალური სტანდარტი ○ აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაცია - ინტერვიუს შედეგები.
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება ☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.5 სტუდენტის ცოდნის შეფასებისას გამოიყენება გამჭვირვალე კრიტერიუმები, რაც უზრუნველყოფს სტუდენტის ინფორმირებულობას მიღწეული შედეგების, ნაკლოვანებებისა და გაუმჯობესების გზების შესახებ
ცოდნის შეფასებისას გამოიყენება გამჭვირვალე კრიტერიუმები, რაც უზრუნველყოფს სტუდენტის ინფორმირებულობას მიღწეული შედეგების, ნაკლოვანებებისა და გაუმჯობესების გზების შესახებ. კერძოდ, პროგრამის თითოეული კომპონენტისთვის, სასწავლო კომპონენტის სილაბუსებში დეტალურად არის გაწერილი შეფასების ფორმები და კრიტერიუმები. აღნიშნული ინფორმაცია არის საჯარო და ხელმისაწვდომია სტუდენტისთვის. სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტში მოქმედებს უნივერსიტეტის სტრუქტურული ერთეული - ერთიანი საგამოცდო ცენტრი, სადაც ცენტრალიზებულად ტარდება შუალედური და დასკვნითი წერითი გამოცდები. ცენტრი მოქმედებს საქართველოს კანონმდებლობის, უნივერსიტეტის წესდების, აკადემიური საბჭოს დადგენილებების, უნივერსიტეტის რექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტებისა და ცენტრის დებულების საფუძველზე.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ სადოქტორო პროგრამა ○ საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშზე და თანდართული დოკუმენტაცია ○ აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაცია - ინტერვიუს შედეგები.
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ○
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან**
სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	✓		

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

3.1 სტუდენტი იღებს თავისი პროფილის განსაზღვრის, სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და მიღწევების გასაუმჯობესებლად აუცილებელ ინფორმაციას, კონსულტაციასა და დახმარებას
სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტში არსებობს სტუდენტზე ორიენტირებული სწავლებისა და მომსახურების სისტემა, რაც გამოიხატება იმაში, რომ სტუდენტს ნებისმიერ დროს შეუძლია ისარგებლოს მისთვის განკუთვნილი დახმარების სერვისებით და მიიღოს ამომწურავი ინფორმაცია სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და წარმატებით განხორციელების შესახებ. კერძოდ: ○ არსებობს საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი, რომელშიც მოცემულია ინფორმაცია უნივერსიტეტის ფაკულტეტებზე მოქმედი სასწავლო პროგრამების, მისანიჭებელი

კვალიფიკაციების, ამ საგანმანათლებლო პროგრამების მიზნების, სწავლის შედეგების, კრედიტებისა და შეფასების წესების შესახებ. აღნიშნული ინფორმაცია ხელმისაწვდომია სოხუმის სახელწიფო უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებ-გვერდზე (http://sou.edu.ge/doctor_programs). თუმცა ახალი ვებ-გვერდი მუშაობს სატესტო რეჟიმში და ხარვეზის სემთხვევაში ინფორმაციის ნახვა შეიძლება ძველ ვებ-გვერდზეც. აქ საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი განთავსებულია შემდეგ ბმულზე: http://old.sou.edu.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=363).

- კონსულტაციის დღეები და დრო მითითებულია სილაბუსებში.
- ფაკულტეტებზე ფუნქციონირებს სასწავლო პროცესის მართვის სამსახური, რომლის უშუალო ფუნქციებში შედის სტუდენტისთვის საინფორმაციო მომსახურების გაწევა, რაც გულისხმობს სხვადასხვა ხასიათის (ადმინისტრაციული, სოციალური და ა.შ.) სერვისებით უზრუნველყოფას. უფრო კონკრეტულად აღნიშნული სამსახურის მოვალეობებში შედის შემდეგი სახის აქტივობები: სტუდენტისთვის სხვადასხვა ტიპის ცნობების გაცემა; მათთვის კონსულტაციის გაწევა, თუ ვის უნდა მიმართოს ამა თუ იმ პრობლემის მოსაგვარებლად; სტუდენტთა განცხადებების მიღება და მათზე რეაგირება (უკუკავშირი სტუდენტთან); სტუდენტთათვის სასწავლო პროცესში შექმნილი პრობლემების (კრედიტების აღებასთან, სასწავლო კურსზე რეგისტრაციასთან, ცხრილთან დაკავშირებით) მოგვარება ფაკულტეტის და ცენტრალური ადმინისტრაციის შესაბამის სამსახურებთან თანამშრომლობით.
- სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტს გააჩნია სტუდენტური პორტალი (https://students.sou.edu.ge/), სადაც სტუდენტს შესაძლობლობა აქვს აკონტროლოს პირადი სივრცე - გაეცნოს სილაბუსებს და მიმდინარე შეფასებებს, სალექციო განრიგს, კონსულტაციის დღეებს და ა.შ. ასევე მას შესაძლებლობა აქვს სტუდენტური პორტალის საშუალებით გამოითხოვოს ცნობა (სტუდენტის სტატუსის შესახებ, ამონაწერი სასწავლო ბარათიდან GPA-ის მითითებით და ა.შ.), შექმნას (დაწეროს) განცხადება (მისთვის საჭირო/საინტერესო საკითხთან მიმართებაში შესაბამისი ბლანკის მეშვეობით), რომელიც გადაეგზავნება სასწავლო პროცესის მართვის სამსახურს განსახილველად და მოხდება უკუკავშირი. უნდა აღინიშნოს, რომ დაწესებულებაში ვიზიტის დროს აღნიშნული სისტემის დემონსტრირება მოხდა სატესტო რეჟიმში გაშვებულ განახლებულ პორტალზე. პარალელურად მიმდინარეობს ვებ-გვერდის განახლება და ვირტუალური სასწავლო გარემოს MOODLE-ის გამართვა-ათვისება. უნივერსიტეტის კურსდამთავრებულებთან და აკადემიურ პერსონალთან გასაუბრების შედეგად დადგინდა, რომ პორტალის ახალი ვერსია ბევრად უფრო მოქნილია წინამორბედთან შედარებით არა მხოლოდ მრავალფუნქციურობის თვალსაზრისით, არამედ ტექნიკური ხასიათის დეტალებითაც (მაგალითად, როგორიცაა სწრაფი რეაგირება პორტალზე ნავიგაციასას თუ ინფორმაციის ძებნის დროს).
- სტუდენტთა სოციალური სერვისებით უზრუნველყოფას ახორციელებს უნივერსიტეტში არსებული სპორტის, კულტურისა და ახალგაზრდულ ორგანიზაციებთან ურთიერთობის სამსახური.
- უნივერსიტეტში ფუნქციონირებს სტუდენტური თვითმმართველობა, რომლის ორგანიზებით სისტემატურად ეწყობა სამეცნიერო კონფერენციები, გამოფენები, საჯარო ლექციები, ტრენინგები და ა.შ.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიში და თანდართული დოკუმენტაცია
- უნივერსიტეტის ვებგვერდი
- აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაცია - ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის ○ სასურველი იქნება, რომ ინფორმაცია წინამორბედი პროგრამის „მათემატიკური მოდელირება და კომპიუტერული მეცნიერებანი“ (ამ პროგრამის განაყოფია წარმოდგენილი პროგრამა) კურსდამთავრებულების წარმატებების შესახებ (მაგ. ორმა მათგანმა ახლახანს მოიპოვა რუსთაველის ფონდის ახალგაზრდა მეცნიერთატვის განკუთვნილი გრანტები) ცნობილი გახდეს უფრო ფართო საზოგადოებისთვის, რაც გაზრდის აღნიშნული სადოქტორო პროგრამით დაინტერესებულ პირთა რიცხვს.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ○
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

3.2 დაწესებულების აკადემიური პერსონალის დატვირთვის სქემაში გათვალისწინებულია სტუდენტთან ინდივიდუალური მუშაობა
○ დაწესებულებაში ვიზიტის დროს გავეცანით აკადემიური პერსონალის სასწავლო დატვირთვის ინდივიდუალურ დოკუმენტებს, საიდანაც დასტურდება, რომ საკონსულტაციო მეცადინეობები წარმოადგენს აკადემიური პერსონალის სავალდებულო დატვირთვის ნაწილს. ○ ფაკულტეტის ადმინისტრაციასთან და აკადემიურ პერსონალთან გასაუბრების შედეგად დადგინდა, რომ ყოველი სემესტრის დასაწყისში ფაკულტეტის დეკანის მოადგილის მიერ ფაკულტეტის მიმართულებების საინფორმაციო დაფებზე ხდება აკადემიური პერსონალის საკონსულტაციო დღეებისა და საათების შესახებ ინფორმაციის გამოკვრა. სტუდენტისთვის ეს განრიგი არის საჯარო და მაქსიმალურად ხელმისაწვდომი. გარდა ამისა სილაბუსებში

მითითებულია როგორც პროფესორების საკონტაქტო ინფორმაცია (ტელეფონის ნომერი, ელ. ფოსტა), ასევე ინფორმაცია ყოველკვირეული საკონსულტაციო საათების შესახებ. აღნიშნული ინფორმაცია სტუდენტისთვის ხელმისაწვდომია სტუდენტური მართვის პორტალზეც საკონსულტაციო ადგილის, დროის და აუდიტორიის მითითებით. აკადემიური პერსონალი აღნიშნავს, რომ სტუდენტთან ინდივიდუალური მუშაობა განსაკუთრებით ეფექტურია კურიკულუმისაგან დამოუკიდებელი ინიციატივების განხორციელებაში (კონსულტაცია გაუწიოს სტუდენტს სამეცნიერო სტატიის გაფორმებაში, მოამზადოს სტუდენტური სამეცნიერო კონფერენციაზე მოხსენების წასაკითხად და ა.შ.) ○ წინამორბედი პროგრამის „მათემატიკური მოდელირება და კომპიუტერული მეცნიერებანი“ (ამ პროგრამის განაყოფია წარმოდგენილი პროგრამა) კურსდამთავრებულებთან ინტერვიუს დროს დადასტურდა, რომ დოქტორანტურაში სწავლისას ისინი კვლევითი საქმიანობის მხარდამჭერი ღონისძიებებით და კონსულტაციებით კმაყოფილი იყვნენ.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშზე თანდართული დოკუმენტაცია ○ აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაცია / ინტერვიუს შედეგები.
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ○
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

3.3 დაწესებულება ხელს უწყობს სტუდენტის ჩართვას კვლევითი პროექტების განხორციელებაში, პრაქტიკული უნარების განმავითარებელ კომპონენტებსა და კურიკულუმისაგან დამოუკიდებელი ინიციატივების განხორციელებაში
სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტში ვიზიტის დროს (ადმინისტრაციასთან, აკადემიურ პერსონალთან და უნივერსიტეტის კურსდამთავრებულებთან გასაუბრების შედეგად) დადასტურდა, რომ სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი და ფაკულტეტები აქტიურად უწყობენ ხელს სტუდენტებს სამეცნიერო-კვლევითი პროექტების, პრაქტიკული უნარების განმავითარებელ კომპონენტებსა თუ კურიკულუმისაგან დამოუკიდებელი ინიციატივების განხორციელებაში. ○ უნივერსიტეტში ფუნქციონირებს სტუდენტური თვითმმართველობა, რომლის ორგანიზებით სისტემატურად ეწყობა სამეცნიერო კონფერენციები, გამოფენები, საჯარო ლექციები, ტრენინგები და ა.შ. ○ სტუდენტებს საშუალება აქვთ მონაწილეობა მიიღონ სამეცნიერო კონფერენციებში. ფაკულტეზე ყოველწლიურად ტარდება სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენციები, ხოლო გამარჯვებული ნაშრომები ქვეყნდება. ○ მათემატიკისა და კომპიუტერულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე ეწყობა სამეცნიერო სემინარები ხელოვნური ინტელექტის აქტუალურ საკითხებთან მიმართებით, რაც მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს ახალი სადოქტორო პროგრამის სტუდენტთა მომზადებას მომავლაში ამ მიმართულებით კვლევებში აქტიურად ჩართვისათვის.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ სამეცნიერო მუშაობის კოორდინაციის სამსახურის ანგარიშები; კონფერენციის მასალები. ○ საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიში და თანდართული დოკუმენტები ○ აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაცია / ინტერვიუს შედეგები (წარმოდგენილი კონფერენციის შრომები).
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

3.4 დაწესებულება ორიენტირებულია სწავლების, სამეცნიერო მუშაობისა და კურსდამთავრებულთა დასაქმებულობის ინტერნაციონალიზაციაზე

სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი ჩართულია ევროკავშირის მიერ დაფინანსებულ საერთაშორისო გაცვლით პროგრამებში როგორიცაა: „TEMPUS", „ERASMUS MUNDUS“, „ERASMUS + (Credit Mobility Program)“ და ა.შ., რომლის მიზანია უმაღლესი განათლების რეფორმის ხელშეწყობა, განათლების მენეჯმენტის განვითარება და სტუდენტთა მობილობის გზით თანამშრომლობის გაღრმავება პარტნიორ ქვეყნებთან. ამ კუთხით გაფორმებულია შესაბამისი მემორანდუმები.

- წინამორბედი სადოქტორო პროგრამის (რომლის განაყოფია აღნიშნული პროგრამა) სტუდენტები (საუბარია განსახილველი პროგრამის პროფილის სტუდენტებზე) მონაწილეობდნენ:
  - დოქტორანტები ლალი ბესელია და სოფია შენგელია იყვნენ ჩეხეთში, ერთი კვირით, 2015 წლის აპრილში ბრნოს ტექნოლოგიურ უნივერსიტეტში, ბიზნესისა და ინფორმატიკის ფაკულტეტზე. მათ მიერ იყო გაკეთებული მოხსენებები სამეცნიერო-კვლევით სემინარზე 2015 წლის 8 აპრილს, რაზეც ვიზიტის დროს წარმოადგინეს სათანადოდ გაფორმებული ცნობები;
  - დოქტორანტმა ირაკლი ქარდავამ მოიპოვა სტიპენდია (Erasmus Mundus – Eminence II) და 1 წლის განმავლობაში მუშაობდა ადამ მიცკევიჩის უნივერსიტეტში, ნანო-ბიო მედიცინის ლაბორატორიაში (07.15.2015-07.15.2016). გარდა ამისა მონაწილეობას ღებულობდა სხვადასხვა საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებში უცხოეთში.
- საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტი უზრუნველყოფს სტუდენტებისა თუ პროფესორ-მასწავლებლების სრულ ინფორმირებას და მხარდაჭერას გაცვლით პროგრამებთან დაკავშირებით. უფრო მეტიც უნივერსიტეტში არსებობს საგარეო ურთიერთობათა და კულტურათაშორისი კავშირების სამსახური, რომელიც ორგანიზებას უწევს უცხო ენის ცოდნის დონის ასამაღლებელ უფასო მოსამზადებელ კურსებს, როგორც სტუდენტებისთვის, ისე პროფესორ-მასწავლებლებისთვის.
- სადოქტორო პროგრამის აკადემიური პერსონალი ყოველწლიურად აქტიურადაა ჩართული სამეცნიერო-კვლევით აქტივობებში (საერთაშორისო, რეგიონალურ თუ ადგილობრივ კონფერენციებში მონაწილეობა; სამეცნიერო სტატიების გამოქვეყნება, მათ შორის მაღალრეიტინგულ ჟურნალებში; მონოგრაფიების თუ სახელმძღვანელოების გამოცემა; შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ გამოცხადებულ საგრანტო კონკურსებში მონაწილეობა და ა.შ);
- სამეცნიერო მუშაობის ინტერნაციონალიზაციას ხელს უწყობს პროგრამის ხელმძღვანელის საერთაშორისო სამეცნიერო ავტორიტეტი, უცხოური ენების ცოდნა და კონტაქტები.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

○ სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ვებგვერდი ○ საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიში და მასზე თანდართული დოკუმენტები ○ აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაცია / ინტერვიუს შედეგები.
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან**
სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	✓		

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

4.1 დაწესებულების ინფრასტრუქტურა და ტექნიკური აღჭურვილობა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას
ვიზიტის დროს დადგინდა, რომ უნივერსიტეტს გააჩნია შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა (კომპიუტერული კლასები, საუდიტორიო ფონდი და სხვა რესურსები), რაც დამაკმაყოფილებელია სადოქტორო პროგრამით გათვალისწინებული სამეცნიერო მუშაობისთვის. უნივერსიტეტს გააჩნია დარგის შესაბამისი საბიბლიოთეკო ფონდები (წიგნადი, ციფრული): სახელმძღვანელოები, მონოგრაფიები, ნაშრომების კრებულები ინფორმატიკის აქტუალურ საკითხებზე, პროფესიული და რეფერატული ჟურნალები, ბიბლიოგრაფიული ცნობარები და ა.შ. ელექტრონული ბიბლიოთეკა ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე https://elibrary.sou.edu.ge/ge/books. აღსანიშნავია, რომ უნივერსიტეტს აქვს წვდომა ისეთ სერიოზულ სამეცნიერო ელექტრონულ ბაზებთან როგორიცაა ScienceDirect და Web of Science. წვდომა ხორციელდება ბიბლიოთეკის კომპიუტერებიდან, სადაც გამოკრულიცაა შესაბამისი ინსტრუქცია. ვიზიტის დროს გადამოწმდა სადოქტორო პროგრამით გათვალისწინებული საკვლევი თემატიკის ირგვლივ სტატიების არსებობა აღნიშნულ ბაზებში. ძიების შედეგმა გვიჩვენა, რომ ზოგიერთ მასალებზე სრული უფასო წვდომაა აქვს მომხმარებელს, ზოგიერთზე კი ნაწილობრივი. ვიზიტის დროს უნივერსიტეტის ადმინისტრაციამ აღნიშნა, რომ მათთვის სტუდენტი პრიორიტეტულია და სტუდენტის მოთხოვნის საფუძველზე მისთვის საჭირო ლიტერატურას (სტატია, სახელმძღვანელო და ა.შ.) აუცილებლად შეიძენს. ამ საკითხე გავესაუბრეთ წინამორბედი პროგრამის კურსდამთავრებულებსაც. ინტერვიუს დროს მათ აღნიშნეს, რომ ის სამეცნიერო ლიტერატურა, რაც მიმდინარე ეტაპზე უნივერსიტეტს გააჩნია მათ მოთხოვნებს აკმაყოფილებს. ერთმა სტუდენტმა, რომელმაც მონაწილეობა მიიღო გაცვლით პროგრამაში ისიც დასძინა, რომ დღემდე სარგებლობს საზღვარგარეთ სწავლის პერიოდში მისთვის განკუთვნილი ავტორიზებულ სამეცნიერო ბაზებთან წვდომის უფლებით და საჭიროების შემთხვევაში (ამჟამად უკვე როგორც პედაგოგი) თავის სტუდენტებს შესაბამის სამეცნიერო ლიტერატურას თავადაც მიაწვდის. პირადი კონტაქტების გამოყენებასაც გეგმავს სწავლების პროცესში სტუდენტებთან წარმატების მისაღწევად.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ უნივერსიტეტის გრძელვადიანი სტრატეგიული განვითარების გეგმა ○ საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშზე თანდართული დოკუმენტაცია ○ აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაცია - ინტერვიუს შედეგები.
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.2 კომპონენტის განმახორციელებელი პირი თავად ფლობს შეთავაზებული კომპონენტის სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელ კომპეტენციებს, რაც დგინდება: აკადემიური პერსონალის შემთხვევაში - ბოლო 10 წლის განმავლობაში შესრულებული სამეცნიერო ნაშრომით (სახელოვნებო მიმართულებებში - შემოქმედებითი პროექტით), რომელიც ადასტურებს შესაბამის დარგში მის კომპეტენტურობას; ხოლო მოწვეული პერსონალის ან მასწავლების შემთხვევაში - შეიძლება დადასტურდეს პრაქტიკული გამოცდილებით
○ პროგრამის განხორციელებაში მონაწილეობს 8 პერსონალი. აქედან 7 (მათ შორის პროგრამის ხელმძღვანელები) სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალია, 1 (ი.ქარდავა) - სრული დატვირთვით კონტრაქტითაა დასაქმებული ამავე უნივერსიტეტში. გარდა ამისა, ერთ-ერთი კურსი მიყავს საათობრივი წესით მიწვეულ პროფესორ დ.გულუას, რომელიც წლების განმავლობაში უცხოეთში მოღვაწეობდა სპეციალობით და დარგში დიდი გამოცდილება აქვს. აკადემიური პერსონალის კვალიფიციურობა დასტურდება მათ მიერ ბოლო 10 წლის განმავლობაში შესრულებული სამეცნიერო ნაშრომებით, რომლებიც გამოქვეყნებულია მაღალრეიტინგულ ჟურნალებში. ამავე დროს გააჩნიათ მათ სამეცნიერო-პედაგოგიური და პრაქტიკული მოღვაწეობის დიდი გამოცდილება. ○ სადოქტორო პროგრამას ხელმძღვანელობენ მეცნიერები, რომლებსაც გააჩნიათ სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის დიდი გამოცდილება და ავტორიტეტი. აღსანიშნავია, რომ პროგრამის ერთ-ერთი ხელმძღვანელი ჯ.ანთიძე დარგში საერთაშორისო აღიარების მქონე მეცნიერია. ბოლო პერიოდამდე აქტიურ სამეცნიერო მოღვაწეობას ეწევა: არის 100-ზე მეტი სამეცნიერო პუბლიკაციის ავტორია, მრავალი საერთაშორისო კონფერენციის მონაწილე და ორგანიზატორი, საგრანტო პროექტების ხელმძღვანელი და/ან მონაწილე, სამეცნიერო ჟურნალების მთავარი რედაქტორი / სარედაქციო კოლეგიის წევრი. მისი ხელმძღვანელობით დაცულია რამდენიმე დისერტაცია, მათ შორის - საზღვარგარეთ მუშაობის პერიოდში. ბევრი მისი მოსწავლე ამჟამად უცხოეთის კვლევით დაწესებულებებში მუშაობს. ჯ.ანთიძე ფლობს რამდენიმე უცხო ენას. ○ აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ახალგაზრდა მეცნიერები, რომლებიც აქტიურად არიან ჩართული ახალი სადოქტორო პროგრამის შექმნა/განხორციელებაში, თავად იყვნენ წინამორბედი სადოქტორო პროგრამის სტუდენტები. ისინი ამავე ფაკულტეტის

კურსდამთავრებულები არიან. სსუ-ის აკადემიურ გარემოში მიიღეს დარგის სპეციფიკით გათვალისწინებული ფუნდამენტური ცოდნა, გააჩნიათ თანამედროვე ტექნოლოგიების ცოდნის მაღალი დონე, ადგილობრივ და საერთაშორისო სამეცნიერო კვლევით-პროექტებში მონაწილეობის გამოცდილება, მოპოვებული აქვთ გრანტები და თავად აქვთ დიდი მზაობა მონაწილეობა მიიღონ ახალგაზრდა მეცნიერთა ჩამოყალიბებაში. ○ აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და კვალიფიკაცია საკმარისია პროგრამის განხორციელებისათვის.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშზე თანდართული დოკუმენტაცია (პროფესორ-მასწავლებელთა ხარისხის დამადასტურებელი დოკუმენტები, შრომითი ხელშეკრულებებით, CV-ები, საკონფერენციო მასალები, გამოქვეყნებული სტატიები და სხვა) ○ აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაცია - აკადემიურ პერსონალთან ინტერვიუს შედეგები.
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის ○ საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშზე თანდართულ CV-ებში (კონკრეტულად, ორ მათგანში) სრულად არ იყო წარმოდგენილი სამეცნიერო ნაშრომთა სია. თუმცა დაწესებულებაში ვიზიტის ფარგლებში წარმოადგინეს ნაშრომთა გამოტოვებული სია. ინფორმაცია დადასტურებულია და ექვემდებარება შემოწმებას.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.3 პროგრამის განხორციელება ხელშეწყობილია სათანადო კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით

პროგრამის განხორციელება ხელშეწყობილია უნივერსიტეტის სათანადო კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.

- სადოქტორო პროგრამა ხორციელდება სსუ მათემატიკისა და კომპიუტერულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ბაზაზე. ფაკულტეტის სტრუქტურა და სტრუქტურული ერთეულების საქმიანობის წესი განისაზღვრება ფაკულტეტის დებულებით. ფაკულტეტის მართვა/ადმინისტრირება ხორციელდება ფაკულტეტის საბჭოს, ფაკულტეტის დეკანისა და ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მეშვეობით.
- ფაკულტეტის დამხმარე სტრუქტურული ერთეულებია: სასწავლო პროცესის მართვის სამსახური, რომელიც წარმოდგენილია 1 საშტატო ერთეულით, სტუდენტთა რეგისტრაციის - 1 საშტატო ერთეული, ფაკულტეტის მდივანი - 1 საშტატო ერთეული. აღნიშნული პერსონალი, ასევე უნივერსიტეტის მრავალფეროვანი ადმინისტრაციული დეპარტამენტები უზრუნველყოფენ პროგრამის გამართულ ფუნქციონირებას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშზე თანდართული დოკუმენტაცია (ფაკულტეტის, სტრუქტურული ერთეულების და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულებები)
- აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაცია - ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.4 სასწავლო მასალა დაფუძნებულია მიმართულების/დარგის აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას

- სადოქტორო პროგრამის სილაბუსებში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია კომპიუტერული მეცნიერებების თანამედროვე მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. სავალდებულო წიგნადი ფონდი, სასწავლო-მეთოდური მასალა განახლებულია თანამედროვე სამეცნიერო ლიტერატურით, სახელმძღვანელოებით, ელექტრონული წიგნებით.
- უნივერსიტეტი უზრუნველყოფილია ელექტორნული ბიბლიოთეკით და ჩართულია ერთიან ელექტონულ საბიბლიოთეკო ქსელში.
- უნივერსიტეტს აქვს წვდომა ისეთ სერიოზულ სამეცნიერო ელექტრონულ ბაზებთან როგორიცაა ScienceDirect და Web of Science. წვდომა ხორციელდება ბიბლიოთეკის კომპიუტერებიდან.
- პროგრამის განხორციელების ენა ქართულია. პროგრამაზე ჩარიცხვის წინაპირობებში გათვალისწინებულია შიდა საუნივერსიტეტო გამოცდა ერთ-ერთ უცხოურ ენაში (ინგლისური, გერმანული, ფრანგული, ან რუსული). თუმცა, წარმოდგენილი 11 სილაბუსიდან სამში კურსის ძირითადი ლიტერატურა იყო მხოლოდ ინგლისურ ენაზე. აქედან ორში დამატებითი ლიტერატურა კი იყო ქართულ ენაზეც, თუმცა სრულად არ ფარავდა კურსის თემატიკას. დაწესებულებაში ვიზიტის დროს გაირკვა, რომ ლექტორებს აქვთ ლექციათა კონსპექტი ქართულ ენაზე, თუმცა ეს შესაბამის სამ სილაბუსში მითითებული არ იყო. ამ საკითხთან დაკავშირებით ვიზიტის დროს გვაცნობეს, რომ თუმცა სასწავლო პროგრამა არ ითვალისწინებს უცხოური ენის შესწავლას, უნივერსიტეტის ადმინისტრაცია ზრუნავს ამ საკითხზე და ამ მიზნით უნივერსიტეტის პერსონალისა და სტუდენტებისათვის საგარეო ურთიერთობათა და კულტურათაშორისო კავშირების სამსახურთან შექმნილია სხვადასხვა უცხოური ენის შემსწავლელი უფასო კურსები.
- წინა პუნქტში დასმულ საკითხის გამოსწორებასთან დაკავშირებით უნივერსიტეტში მიზანშეწონილად არ მიაჩნიათ, მაგალითად, მხოლოდ ინგლისური ენის დატოვება, რადგან რუსული ენით შეძლებენ ჩაბარებას აფხაზეთის უნივერსიტეტის კურსდამთავრებულები, რომელთანაც წინასწარი მოლაპარაკებებიც აქვთ ჯერ-ჯერობით პირადი კონტაქტების დონეზე. საერთოდ, აფხაზეთთან კონტაქტების აღდგენას რექტორის დონეზე ექცევა ყურადღება და უნივერსიტეტის მისიაშიც არის ხაზგასმული. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ყველა იმ ენაზე, რაც წინაპირობებშია მითითებული, დარგის მრავალფეროვანი ლიტერატურა არსებობს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის (ვებგვერდი)

- საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშზე თანდართული სილაბუსები
- აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაცია - ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

- პროგრამის განხორციელების ენა ქართულია. წინაპირობებში გათვალისწინებულია შიდა საუნივერსიტეტო გამოცდა ერთ-ერთ უცხოურ ენაში (ინგლისური, გერმანული, ფრანგული, ან რუსული). თუმცა, წარმოდგენილი 11 სილაბუსიდან სამში კურსის ძირითადი ლიტერატურა იყო მხოლოდ ინგლისურ ენაზე. აქედან ორში დამატებითი ლიტერატურა კი არის ქართულ ენაზეც, თუმცა სრულად არ ფარავს კურსის თემატიკას. ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს: იმისათვის, რომ ფორმალურად სრულად იყოს უზრუნველყოფილი სასწავლო პროგრამის შედეგების მიღწევა, ყველა სილაბუსში (ასეთი ხარვეზით მხოლოდ სამია) ძირითადი ლიტერატურის ჩამონათვალში უნდა დაემატოს ქართულენოვანი ლიტერატურა (თუნდაც ლექციათა კონსპექტის დონეზე).

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☒ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.5 არსებობს პროგრამის ფინანსური უზრუნველყოფა
○ პროგრამა ფინანსდება სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ცენტრალური ბიუჯეტიდან. კერძოდ, ფინანსდება პროგრამაში მონაწილე პროფესორ-მასწავლებელთა ხელფასები, მივლინებები, სათანადო სახელმძღვანელოების შეძენისა და გამოცემის საკითხები და აგრეთვე სხვა მატერიალური რესურსები. აღნიშნული დაფინანსების საკითხები წყდება პროგრამის ხელმძღვანელის, ფაკულტეტის ადმინისტრაციის მოხსენებითი ბარათების საფუძველზე უნივერსიტეტის ცენტრალური ადმინისტრაციის მიერ. აღნიშნული საკითხი ვიზიტის დროს დაგვიდასტურეს უნივერსიტეტის რექტორმა და კანცლერმა.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიში ○ აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაცია - ინტერვიუს შედეგები (რექტორთან, კანცლერთან).
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან**
სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან		

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

5.1 მოქმედებს და საჯაროდ ხელმისაწვდომია ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა, რომელიც ითვალისწინებს "დაგეგმე - განახორციელე - შეამოწმე - განავითარე„ ციკლს
აკადემიურ საბჭოზე მიღებული დოკუმენტების მიხედვით უნივერსიტეტში მოქმედებს და საჯაროდ ხელმისაწვდომია ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა, რომელიც ითვალისწინებს "დაგეგმე-განახორციელე-შეამოწმე-განავითარე" ციკლს. აღნიშნული ციკლი ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის ერთ-ერთი ცნობილი თავისებურებაა. ის გულისხმობს ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის მუშაობის შემდეგ სქემას: – „პირველ ეტაპზე ("დაგეგმე") უნდა დაიგეგმოს საკუთარი სამუშაო-განისაზღვროს საქმიანობის რომელი ასპექტები, რომელი სტრუქტურები და პროგრამები რა თანმიმდევრობით, ვის მიერ და რომელი კრიტერიუმების მიხედვით იქნება შეფასებული; – მეორე ეტაპზე ("განახორციელე") უნდა განხორციელდეს დაგეგმილი შეფასება წინასწარ შეთანხმებული კრიტერიუმებისა და და გრაფიკის მიხედვით; – მესამე ეტაპზე („შეამოწმე") უნდა იყოს ჩართული კონტროლის მექანიზმები, თუ რა მუშაობს და რა არ მუშაობს, და, შესაბამისად, მოიძებნოს მიზეზები; – საბოლოო ეტაპზე („განავითარე") უნდა შეჯამდეს შედეგები, განისაზღვროს ნაკლოვანებების მიზეზები და მათი აღმოფხვრის მიზნით შემუშავებულ იქნეს სათანადო რეკომენდაციები; ნაკლოვანების არსებობის შემთხვევაში დაისახოს არსებული დამაკმაყოფილებელი ვითარების შენარჩუნების მექანიზმები." პროგრამის შიდა და გარე შეფასების შედეგად უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ფაკულტეტების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურებთან თანამშრომლობით შეიმუშავებს კონკრეტულ რეკომენდაციებს პროგრამის განხორციელების და სწავლის შედეგების მიღწევის შემდგომი სრულყოფის მიზნით. რეკომენდაციები წარედგინება აკადემიურ საბჭოს და ფაკულტეტების საბჭოებს. თუმცა დაწესებულებაში ვიზიტის დროს გამოიკვეთა, რომ არ არის გაწერილი კონკრეტული პროცედურა, როგორ ხდება ხარისხის უზრუნველყოფის ციკლის ბოლო ეტაპის („განავითარე") განხორციელება და ვინ არის ჩართული.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიში ○ თვითშეფასების ანგარიშზე თანდართული დოკუმენტაცია (აკადემიური საბჭოს მიერ დამტკიცებული „სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტში სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობების შეფასების მექანიზმები"; კითხვარები; ყოველწლიური ანგარიშები; SWOT ანალიზი)

- აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაცია - ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

- ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ უფრო ნათლად უნდა იყოს გაწერილი ხარისხის უზრუნველყოფის ციკლის ბოლო ეტაპის („განავითარე“) განხორციელების ეტაპები. კერძოდ, რეკომენდაციები კი წარედგინება აკადემიურ საბჭოს და ფაკულტეტების საბჭოებს, მაგრამ კონკრეტულად უნდა იყოს გაწერილი პროცედურა, როგორ ხდება ხარისხის უზრუნველყოფის ციკლის ბოლო ეტაპის („განავითარე“) განხორციელება და ვინ არის ამაშიჩართული.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☒ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.2 შიდა და გარე შეფასება გამოყენებულია საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევის გასაუმჯობესებლად

სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტში მოქმედებს შიდა და გარე შეფასებების სისტემა და გამოიყენება საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევის გზების გასაუმჯობესებლად. აღნიშნული მექანიზმები გაწერილია სსუ აკადემიური საბჭოს მიერ დამტკიცებულ დოკუმენტში „სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტში სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობების შეფასების მექანიზმები“, მრავალკომპონენტიანია და მოიცავს საგანმანათლებლო პროგრამების შეფასებას, სასწავლო პროცესის შეფასებას, სამეცნიერო მუშაობის შეფასებას, სწავლების ადამიანური და მატერიალური რესურსებით უზრუნველყოფის შეფასებას, პროგრამის განვითარების პროცესში დაინტერესებული მხარეების (დამსაქმებლები, აკადემიური პერსონალი, სტუდენტები, კურსდამთავრებულები) აზრის და დამოკიდებულებების კვლევას. თითოეული შემთხვევისთვის აღწერილია შეფასების სისტემა და ინდიკატორები. დოკუმენტის მიხედვით, პროგრამის შიდა და გარე შეფასების შედეგად უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ფაკულტეტების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურებთან თანამშრომლობით შეიმუშავებს კონკრეტულ რეკომენდაციებს პროგრამის განხორციელების და სწავლის შედეგების მიღწევის შემდგომი სრულყოფის მიზნით. რეკომენდაციები წარედგინება აკადემიურ საბჭოს და ფაკულტეტების საბჭოებს. ყოველწლიურად ფაკულტეტის ხ/უ სამსახურის უფროსი ამზადებს თვითშეფასების კითხვარს, სადაც მითითებულია ამომწურავი ინფორმაცია კონკრეტული პროგრამის შესახებ. შემდგომში ელექტრონული სახით შევსებული კითხვარი ეგზავნება სოხუმის სახელმწიფო უნივერიტეტის ხ/უ სამსხურის უფროსს, რომელიც აგრეთვე ავსებს თვითშეფასების ელექტრონულ დოკუმენტაციას. შემდგომ თვითშეფასების კითხვარი ეგზავნება განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს. შეფასებებისათვის შემუშავებულია სპეციალური ფორმები და კითხვარები, ხოლო კომპეტენციის შეფასებისათვის დადგენილია კრიტერიუმები. რადგან პროგრამა ახალია, თვითშეფასების კითხვარი აღიშნულ პროგრამაზე არ შევსებულა. ვიზიტის დროს გავეცანით ე.წ. შიდა და გარე ექსპერტების დასკვნას (არსებობს შესაბამისი საუნივერსიტეტო ფორმა), აგრეთვე ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის დაკვნას, სადაც ასახულია პროგრამის შეფასებები. დასკვნები დადებითია.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიში ○ თვითშეფასების ანგარიშზე თანდართული დოკუმენტაცია (აკადემიური საბჭოს მიერ დამტკიცებული „სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტში სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობების შეფასების მექანიზმები“; კითხვარები; შეფასების ფორმები; ყოველწლიური ანგარიშები; SWOT ანალიზი) ○ აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაცია - ინტერვიუს შედეგები.
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან**
სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან		

თანდართული დოკუმენტაცია (არსებობის შემთხვევაში)

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება:
სსიპ სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება:
სადოქტორო პროგრამა „კომპიუტერული მეცნიერებები“

დასკვნის გვერდების რაოდენობა: 37

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტები	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან**
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან		
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან		
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან		
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან		
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან		
საბოლოო შეფასება	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**		

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

თ. დავითაშვილი /თ.დავითაშვილი/

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება:
სსიპ სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება:
სადოქტორო პროგრამა „კომპიუტერული მეცნიერებები“

დასკვნის გვერდების რაოდენობა: 37

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტები	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან**
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან		
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან		
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან		
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან		
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან		
საბოლოო შეფასება	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**		

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

/მ.ცინცაძე/

/გ.წულაია/